საზოგადოების განვითარების საერთაშორისო ერთობლივი სტანდარტები

iACD
International Association for Community Development
Association Internationale de Développement et D'Action Communautaires

2018 65TH ANNIVERSARY YEAR

WITHOUT COMMUNITY DEVELOPMENT
THERE IS NO SUSTAINABLE DEVELOPMENT

წინასიტყვაობა

ეს ნაშრომი წარმოადგენს საზოგადოების განვითარების ერთობლივ საერთაშორისო სტანდარტების საფუძველს ასევე საზოგადოების განვითარების ძირითად თემებს და სფეროებს რომელიც მიღებულია მთელ მსოფლიოში. ეს დოკუმენტი ადგენს საზოგადოების პროფესიული განვითარების მიზანს, ღირებულებებსა და ძირითად მეთოდებს, რაც შემდგომში გამოიყენება მოქმედი სპეციალისტების მიერ (პრაქტიკოსების მიერ).

2016 წლის ოქტომბერს საზოგადოების განვითარების საერთაშორისო ასოციაციამ აცნობა თავის წევრებს იმის თაობაზე, რომ ახალი დეკლარაციის მიღების შემდეგ, რომელიც მოხდა 2016 წლის ყოველწლიურ გენერალურ სხდომაზე, ასოციაციის პროფესიული განვითარების კომიტეტმა წარადგინა ინიციატივა რათა შექმნილიყო დოკუმენტი-გზამკვლევი რითაც იხელმძღვანელებდნენ ასოციაციის წევრები. საზოგადოების განვითარების საერთაშორისო ასოციაციის საბჭო დათანხმდა ერთობლივ მუშაობაზე ამ პროექტზე შოტლანდიის საზოგადოების სწავლებისა და სტანდარტების საბჭოსთან. შოტლანდიის საზოგადოების სწავლებისა და სტანდარტების განვითარების საბჭომ და საზოგადოების განვითარების საერთაშორისო ასოციაციამ ერთობლივად გამართეს კონფერენცია ქალაქ გლასგოუში 2014 წელს. შოტლანდიაში არსებულ ორგანიზაციას აქვს ამ სფეროში მუშაობის მრავალწლიანი გამოცდილება. ერთობლივი სამუშაო ჯგუფი შეიქმნა იმისათვის, რომ მომხდარიყო ამ პროექტის მონახაზის შემუშავება და 2016 წლის ნოემბერში ჩვენ გავავრცელეთ პირველადი სადისკუსიო დოკუმენტის, რომელშიც დიდი მნიშვნელობა მიენიჭა თუ როგორ მიმდინარეობდა მუშაობა სხვადასხვა ქვეყნებში ეროვნული საზოგადოების განვითარების სტანდარტების შემუშავებაზე.

სამუშაო ჯგუფმა რამდენჯერმე მოაწყო შეხვედრა, რათა მომზადებულიყო პროექტის გეგმა, (საზოგადოების განვითარების საერთაშორისო ერთობლივი სტანდარტების გზამკვლევის პირველადი მონახაზი) რომელიც შემდგომში გადაეგზავნა ასოციაციის ყველა წევრს ოთხთვიანი კონსულტაციისთვის რომელიც დასრულდა 2018 წლის 31 მარტს. ასოციაციის აზრით ძალიან სასარგებლო იქნებოდა რომ საზოგადოების ყველა წევრი ყოფილიყო ჩართული ამ დოკუმენტის განხილვაში. ჩვენ დავინახეთ თუ როგორ ხდება საერთაშორისო სტანდარტების გამოყენება სხვადასხვა სამუშაო სფეროებში სხვადასხვა ქვეყნებში.

1. საზოგადოების სწავლა და განვითარება
2. CLDSC არის შოტლანდიის ორგანო, რომელიც პასუხისმგებელია სტანდარტების შემუშავებასა და პროფესიულ მომზადებაზე. ეს სამუშაო თავდაპირველად ჩატარდა შოტლანდიის საზოგადოების განათლების საბჭოს მიერ და შემდეგ გადაეცა CLDSC- ს.

ჩვენ მივიღეთ პასუხები ამ პროექთან დაკავშირებით მთელი მსოფლიოდან: ჩინეთიდან, სამრეთ აფრიკიდან, კანადიდან, ავსტრალიიდან, პორტუგალიიდან, ამერიკიდან, ახალი ზელანდიიდან, გაერთიანებული სამეფოდან, კენიიდან და ასევე სხვა ქვეყნებიდან. ეს იყო ჭეშმარიტად გლობალური ძალისხმევა და გვინდა მადლიერება გამოუხატოთ წევრებს, როგორც მათი მხარდამჭერი პასუხებისა ასევე მათი კრიტიკისთვის. რამდენიმე კრიტიკა იყო ცალკეული პირებისგან, მაგრამ უმრავლესობა ეროვნულ / რეგიონულ ორგანიზაციებიდან მოდიოდა და როგორც ჩანს მათ მომზადებას დიდი დრო დასჭირდა. კრიტიკის უმეტესობა უკავშირდება კონკრეტული სიტყვებს წინადადებებსა და პარაგრაფებს და იმ ცვლილებებს რაც იყო შეტანილი, წაშლილი ან დამატებული, მაგრამ ზოგადად იყო ძლიერი მხარდაჭერა. რეაგირების უმრავლესობა მხარს უჭერდა ასოციაციის ინიციატივას. თუმცა, რამდენიმე წევრიდან მივიღეთ შენიშვნები იმის თაობაზე, რომ ამგვარი გზამკვლევი და ასოციაციის მიერ ადრე მიღებული დეკლარაცია გასაგებად არ განმარტავდა აუნაზღაურებად პრაქტიკოსს, საზოგადო მოღვაწეს, საზოგადოების განვითარებას და დახურულ პროფესიას. ეს არის მნიშვნელოვანი კრიტიკა და მინდა ხაზგასმით აღვნიშნო, რომ ჩვენ ვართ ღია ორგანიზაცია და გაგვაჩნია სერიოზული ვალდებულებები.

ჩვენ გვინდა გასაგები გავხადოთ თუ რას ნიშნავს იყო საზოგადოების განვითარების პრაქტიკოსი ან მოქმედი სპეციალისტი. ჩვენი აზრით საზოგადოების განვითარების პრაქტიკოსი ან მოქმედი სპეციალისტი განსხვავდება სამოქალაქო მოღვაწისაგან, ლიდერისგან და დაინტერესებულ მოქალაქესგან. საზოგადოების განვითარების პრაქტიკოსები ხშირად არიან ანაზღაურების გარეშე, ხოლო საერთაშორისო ასოციაცია არ არის სავაჭრო კავშირი, ხაზს ვუსვამთ ჩვენს დიდ გამოცდილებას და იმ ფაქტს რომ საზოგადოების განვითარების საქმიანობა შეიძლება იყოს შრომატევადი, საპასუხისმგებლო და რთული. ზოგადად, ჩვენ გვინდა, რომ საზოგადოების განვითარების პრაქტიკოსს ჰქონდეს ანაზღაურება და კარგი სამუშაო პირობები.

ჩვენ ასევე გვსურს რომ ყველა საზოგადოების განვითარების პრაქტიკოს ჰქონდეთ მაღალი ხარისხის პროფესიული განვითარებისა და გადამზადების საშუალებები და ჩვენ ვთხოვთ განათლებისა და ტრენინგების უზრუნველმყოფელ პირებს აღიარონ და დაამტკიცონ ექსპერიმენტალური სწავლება და ჩართონ მეტი ადამიანები, რომლებიც არიან საზოგადოების აქტიური ლიდერები. ჩვენ გვჯერა, რომ ეს არის ათასობით საინტერესო სასწავლო კურსი მთელ მსოფლიოში, რომელიც თავაზობს საზოგადოებას მაღალი ხარისხის განათლებასა და განვითარებას.

ასოციაციის განმარტებაში ვსაუბრობთ საზოგადოების განვითარებაზე, როგორც პრაქტიკაზე დაფუძნებული პროფესია ასევე აკადემიური დისციპლინა. ამ საქმიანობის შესრულება ხშირად რთულია, შრომატევადი და ხანდახან საშიშიც. მოქმედი პრაქტიკოსები კარგად უნდა იცოდნენ პოლიტიკური, სოციალური და ეკოლოგიური მეცნიერებები, რათა უფრო ფართოდ გაიაზრონ ადამიანთა ცხოვრება, სოციალურ, პოლიტიკურ, კულტურულ, ეკონომიკურ და გარემოსდაცვით კონტექსტი და როგორ უნდა მიაღწიონ ცვლილებებს, რაც კიდევ უფრო გააძლიერებს საზოგადოებას. მოქმედი პრაქტიკოსები უნდა ფლობდნენ კომუნიკაციის უნარ-ჩვევებს, უნდა იყვნენ კარგი ორგანიზატორები, უნდა შეძლონ რესურსების მოძიება და უნდა ჰქონდეთ თანაგრძნობის უნარი. მოქმედი პრაქტიკოსები უნდა ასრულებდნენ თავიანთ ვალდებულებებს მთელი პასუხისმგებლობით საზოგადოების ღირებულებების, სამართლიანობისა და დემოკრატიის საფუძვლებზე.

ჩვენ გავაკეთეთ კომენტარი იმის თაობაზე თუ რა ტენდენციებია ზოგიერთ ქვეყანაში. საზოგადოების განვითარების სასწავლო პროგრამა და მომზადების კურსები, რომლებსაც თავაზობს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებები სხვადასხვა ქვეყნებში უფრო თეორიული ხასიათისაა. არსებობს ბალანსის დაცვის საჭიროება, რომელიც უნდა მოიცავდეს სერიოზულ სალექციო კურს ასევე პრაქტიკული უნარ-ჩვევების ჩამოყალიბებას. საზოგადოების განვითარების პროცესში უნდა იყოს ჩართული გონება, ხელები, გული და ცოდნა.

3. http://www.iacdglobal.org/2017/09/18/are-we-now-ready-for-an-international-forum-for-professional-community-development-educators/

საზოგადოების განვითარების საერთაშორისო სტანდარტების გამოქვეყნებისას ჩვენ ვთვლით საჭიროდ განმარტება შევიტანოთ იმაში, თუ რას გულისხმობს ტერმინი "პროფესია". მიღებული პასუხებიდან ჩვენ გვინდა ერთ-ერთის ციტირება გავაკეთოთ: "მიუხედავად იმისა რომ სტანდარტის დოკუმენტში არ არის პროფესიონალიზმის არსის განსაზღვრება, მაგრამ როგორც ჩანს დოკუმენტში გამოყენებული ტერმინი "პროფესიონალი" ეხება ადამიანებს მაღალი პროფესიონალური დონით, გამოცდილებითა და უნარ-ჩვევებით, რომლებიც არიან საზოგადოების განვითარების სამსახურში და რომლებსაც მონიტორინგს უწევს პროფესიონალური ორგანიზაცია. არსებობს, რა თქმა უნდა, ამ ტერმინის სხვა მნიშვნელობები, მაგალითად შეიძლება ეხებოდეს ადამიანს, რომელიც იქცევა პატივისცემით, კომპეტენტურად და არის მგრძნობიარე".

ეს საკითხი კარგად არის დასმული და ჩვენ ხაზს ვუსვამთ, რომ ჩვენი ასოციაცია იყენებს ამ ტერმინს ორივე მნიშვნელობით ამიტომაა, რომ ასოციაციაში ჩვენ მივიღეთ ცნება "უფლებების მქონე პროფესია", რათა გავამყაროთ ურთიერთობა მოქმედი პრაქტიკოსებისა და იმ ადამიანებს შორის ვისთანაც ჩვენ ვთანამშრომლობთ. საზოგადოების განვითარება და უფლებამოსილება არის ის, რისთვისაც საზოგადოების განვითარების მოქმედი სპეციალისტები და ორგანიზაციები უნდა მუშაობდნენ, მაგრამ ასევე უნდა ვაღიაროთ რომ საზოგადოების განვითარების საქმიანობა არ იყო ყოველთვის წარმატებული.

ჩვენ ასოციაციას აქვს გარკვეული ინტერესები და მიზნები და ჩვენი მუშაობის გაუმჯობესების მიზნით ჩვენ გვჭირდება მხარდაჭერა ჩვენი თანამოაზრეებისგან, დამსაქმებლებისგან, დამფინანსებლებისგან, ეროვნული და რეგიონალური პროფესიული სტანდარტების სააგენტოებისგან და იმ საზოგადოებისგან რომელთანაც ჩვენ ვმუშაობთ.

ჩვენთვის ნათელია ის რომ, ეროვნულ ორგანოს უნდა ჰქონდეს პასუხისმგებლობა ეროვნული სტანდარტების შესათანხმებლად, მონიტორინგისა და ამ პროცესის მხარდასაჭერად. საზოგადოების განვითარების საერთაშორისო ასოციაციის როლი არის ის, რომ ხელი შეუწყოს ქსელის მუშაობას, გაზიაროს მიდგომები და იდეები ორგანოებს შორის, რათა შეიქმნას საერთაშორისო შემოქმედებითი საზოგადოება. ამგვარი ეროვნული ორგანოები და ეროვნული სტანდარტები ამჟამად მხოლოდ რამოდენიმე ქვეყანაში არსებობს - ერთ - ერთი არის შოტლანდია, სადაც საზოგადოების განვითარების საერთაშორისო ასოციაციაა დაფუძნებული.

ჩვენი ასოციაცია წარმოგიდგენთ ამ ანგარიშს როგორც გზამკვლევს ტრენინგებისა და პროფესიული განვითარების კომიტეტის წევრებს მსოფლიოს მასშტაბით ასევე განკუთვნილია პრაქტიკოსებისთვის, განათლებისა და ტრენინგებისს უზრუნველყოფელ პირებისთვის, დამსაქმებლებისთვის, რეგიონალური და ეროვნული ასოციაციებისა და მთავრობისთვის, რათა გაუმჯობესდეს საზოგადოების თავდაპირველი და გრძელვადიანი პროფესიული განვითარების ხარისხი.

პოლ ლაჩაპელი
საზოგადოების განვითარების საერთაშორისო ასოციაციის პრეზიდენტი

ჯონ სტანსფილდი
ასოციაციის ტრენინგებისა და ფროფესიული განვითარების კომიტეტის თავმჯდომარე

საკითხის ისტორია

2016 წელს ასოციაციის საბჭომ მიიღო ახალი საერთაშორისო განმარტება:

“საზოგადოების განვითარება არის როგორც პრაქტიკაზე დაფუძნებული პროფესია ასევე აკადემიური დისციპლინა, რომელიც ხელს უწყობს დემოკრატიის, უფლებების, ეკონომიკური შესაძლებლობების, თანასწორობისა და სოციალური სამართლიანობის და განათლების განვითარებას, ხალხის გაძლიერებას ქალაქსა თუ სოფლებში”.

მას შემდეგ, ეს განმარტება იქნა მიღებული მთელი რიგი ეროვნული ასოციაციების მიერ. ეს მიუთითებს წევრთა შორის მზარდ კონსენსუსზე.

საერთაშორისო ასოციაციის განსაზღვრება ეფუძნება გაეროს მიერ მიღებულ 1950 წელს საზოგადოების განვითარების ცნებას. ეს ის პერიოდია, როდესაც საერთაშორისო ასოციაცია დაფუძნდა და რომლის მთავარი განზრახვაა განავითაროს “პროცესი, სადაც საზოგადოების წევრები ერთობლივად მიიღებენ გადაწყვეტილებებს საერთო პრობლემების გადასაჭრელად”.

1950 წლიდან, როდესაც გაერომ პირველად მიიღო აღნიშნული ტერმინი, მან განსაზღვრა საზოგადოების განვითარება, როგორც “პროცესი, რომელიც თავაზობს ტექნიკურ დახმარებას და უწყებათა კოორდინაციის უზრუნველყოფას ... .. რაც ხელს უწყობს საზოგადოების განვითარების პროცესს’’.

2018 წლის დასაწყისში ჩვენ გამოვაქვეყნეთ ასოციაციის ჟურნალ ‘’Practice Insights’’ (პროცესის ნორმების გაცნობა) - ის სპეციალური ნომერი, რათა აღვნიშნეთ ჩვენი 65 წლის იუბილე. ამ ჟურნალში ჩვენ წარმოვადგინეთ საინტერესო მასალები იმ უამრავ ადამიანზე და გავლენებზე, რომლებმაც ჩვენი მოძრაობა ჩამოაყალიბეს ბოლო ექვსი ათწლეულის მანძილზე. ჟურნალის ამ გამოცემაში ჩვენ ავღნიშნეთ რომ, “ბოლო ექვსი ათწლეულის მანძილზე ათობით ათასმა საზოგადოების განვითარების პრაქტიკოსმა მიუძღვნა თავისი გამოცდილება ამ პროცესს, რათა მომხდარიყო ხალხის ცხოვრების გაუმჯობესება და გარემოს დაცვა”. განსაკუთრებით ისინი მხარს უჭერდნენ ყველაზე დაუცველ ადამიანებს, რათა იმათ ჰქონოდათ არა მხოლოდ საკუთარი ხმის უფლება, არამედ თავისი მიზნების განხორციელება.

ჟურნალ “Practice Insights” 65 წლისთავისადმი მიძღვნილ გამოცემაში, დავინახავთ, რომ საზოგადოების განვითარება ყოველთვის იყო პოლიტიკურად სადავო საკითხი, როგორც კონსერვატორებში, ისე რადიკალებშიც, რომლებიც ხშირად იყენებდნენ ტერმინს ძალიან განსხვავებული მიზნებისათვის. საზოგადოების განვითარების პრაქტიკოსებმა, ათასობით ნაშრომებმა და პუბლიკაციებმა აჩვენა და ისევ აგრძელებენ ჩვენი მდიდარი კრიტიკული აზროვნების დემონსტრირებას, რაც არის ჯანსაღი პროფესიის ნიშანი.

ესენი იყვნენ პრაქტიკოსები და სხვებიც, რომლებიც აყალიბებდნენ ჩვენს აზრს ჩვენს მიერ ხაზგასმულ ღირებულებებზე, იმის აღიარებით, რომ საზოგადოების განვითარება არც პოლიტიკური და არც ნეიტრალური პროცესია. ჩვენ საჯაროდ განვაცხადეთ იმის შესახებ, თუ რას ვხედავდით ამ ღირებულებებში. ეს ის ძირითადი ღირებულებებია, რომლებიც შემორჩა როგორც ცენტრალური მნიშვნელობის, ასოციაციის 2016 წლის განმარტებაში და რომლებიც ასევე ამყარებენ ამავე დოკუმენტს.

ასოციაციამ მიიღო გადაწყვეტილება, რათა გამოექვეყნებიათ საკუთარი განცხადება, რომელიც განსაზღვრავდა და განმარტავდა საზოგადოების განვითარებას კვლევის მიხედვით (2015 წლის ასოციაციის ნაშრომი საზოგადოების განვითარების საწვრთნელი პროგრამები მთელი მსოფლიოს მასშტაბით) რომელიც მიუთითებდა, რომ საზოგადოების განვითარება ფართოდ იყო განმარტებული სხვადასხვა ტრენინგის მომხმარებლების, დამსაქმებლების და პრაქტიკოსების მიერ სხვადასხვა ქვეყნებიდან. ჩვენ აღმოვაჩინეთ რამდენიმე ასეული კურსდამთავრებულის დონის სატრენინგო პროგრამა, რომელიც მოიცავდა საზოგადოების განვითარებას როგორც საბაკალავრო კურსის ნაწილს. ზოგიერთი მათგანი ჩვენი აღმოჩენიდან იყო სპეციალისტის საზოგადოების განვითარების ხარისხი, დანარჩენი კი უკავშირდებოდა საზოგადოების განვითარებას შემდეგ დისციპლინებში, როგორიცაა: ჯანდაცვა, ეკონომიკური განვითარება, სოციალური შრომა, სოფლის განვითარება თუ საერთაშორისო განვითარება (მხოლოდ მცირე ჩამონათვალი). ჩვენი კვლევა არ გაეცნო დეტალებს იმასთან დაკავშირებით, თუ რას ასწავლიდნენ ეს კურსები და ამავე დროს არც შეგვიფასებია მათი ხარისხი, თუმცა ის ფაქტი რომ ისინი არსებობენ და ბაზარზე არიან როგორც განათლებისა და ტრენინგების უზრუნველმყოფელნი, რათა უზრუნველყონ სტუდენტები კარიერით საზოგადოებრივ განვითარებაში, მიუთითებს იმაზე, რომ პრაქტიკა ადგილს იკავებს მთელი მსოფლიოს მასშტაბით როგორც განვითარებად ასევე განვითარებულ ქვეყნებში და რომ პრაქტიკოსებისთვის მოთხოვნაა ბაზარზე.

4. Practice Insights 9. Special 65th Birthday Issue. January 2018.
5. http://www.iacdglobal.org/practice-exchange/mapping-study/

ამასთანავე, როგორც საერთაშორისო პროფესიული ასოციაცია მიიჩნევდა, რომ აუცილებელი იყო პრაქტიკოსების წახალისება, რათა მიეღოთ საერთო აზრი საზოგადოების განვითარების მიზნის შესახებ, რომელიც იქმნებოდა საერთო ფასეულობებზე. ჩვენი განზრახვა აქ იყო, რომ მხარი დაგვეჭირა მაღალი სტანდარტების პრაქტიკისთვის, რომელიც დაფუძნებულია შეთანხმებულ კოლექტიურ აზრსა და ხედვაზე, როგორიცაა მაგალითად რაც უფრო მეტი პროფესიონალია, მით მეთად კვალიფიციურია. შევთანხმდით, რომ ასოციაციის განსაზღვრება საზოგადოებრივი განვითარების შესახებ იქნებოდა საწყისი წერტილი საერთო საერთაშორისო სტანდარტის ხელშეწყობისთვის საზოგადოებრივი განვითარების პრაქტიკისთვის და ასევე პრაქტიკოსების განათლების და ტრენინგებისთვის.

იმ დროს, როდესაც არსებობს მზარდი გამოწვევები, ისევე როგორც ახალი დასაქმების და პრაქტიკის შესაძლებლობები საზოგადოების განვითარებისთვის მთელს მსოფლიოში, ყველაზე მნიშვნელოვანია გაეროს (the U.N.) მდგრადი განვითარების მიზნები და მათი განხორციელება ეროვნულ და ადგილობრივ დონეზე, ჩვენი პროფესიისთვის არსებითად მნიშვნელოვანია ხელახლა შევაფასოთ თუ რამდენად პასუხობს გამოწვევებს საზოგადოების განვითარების პროფესიული სწავლების შესაძლებლობები.

2016 წელს მდგრადი განვითარების მიზნების მიღება გაეროს მიერ წარმოადგენს უდიდეს შესაძლებლობას საზოგადოების განვითარების პრაქტიკოსებისთვის, რათა წარმოაჩინონ თუ როგორ უზრუნველყონ საზოგადოება ახალი შესაძლებლობების შექმნით, რომელიც ჩართული იქნება მდგრადი განვითარების მიზნების (SDG) დღის წესრიგში, რათა გაძლიერდეს საზოგადოების მდგრადობა კლიმატის ცვლილებების მიმართ, ჯანდაცვის ხელშეწყობის, სიღარიბის შემცირების და უწყვეტი სწავლის მიმართ.

ეროვნული სტანდარტების ჩამოყალიბება

ბოლო წლების განმავლობაში ეროვნული სათემო განვითარების ასოციაციებისა და სააგენტოების რაოდენობა წარმოიშვა საყოველთაოდ აღიარებული ეროვნული სტანდარტების ან პროფესიული სტანდარტების პროფესიული სტანდარტების მიხედვით. ეს აღწერს იმას, თუ რა უნდა გააკეთოს ადამიანმა, გაიგოს და გაიგოს კარგი ხარისხის საზოგადოების განვითარების პრაქტიკა და ხელი შეუწყოს მუშაკთა პროფესიულ განვითარებას კარგი პრაქტიკის ხელშეწყობით, რაც ხელს უწყობს ცოდნის, ცოდნისა და ღირებულებების გატარებას. ზოგიერთ ქვეყანაში ამ ეროვნულ სტანდარტებს აქვს "თანხმობა" მონიტორინგის ფუნქცია, მათ შორის პრაქტიკოსი, მენეჯმენტი, "მომხმარებელი" და ტრენერების მიმწოდებლის ინტერესები და პრაქტიკა მისი ზედამხედველობის სფეროში. მიზნად ისახავს შეთანხმებული სტანდარტების ჩამოყალიბებას, რაც ასახავს საერთო პრაქტიკის მიზნებს, პროცესებსა და საკვანძო როლს, რაც ხელს შეუწყობს ყველა პრაქტიკოსს.

ეს არის უზარმაზარი ამოსავალი წერტილი და ჩვენ მიგვაჩნია, რომ ეს მიდგომა ადაპტირებული იქნება მთელს მსოფლიოში და ეს დაწყებულია კიდეც მაგალითად მოძრაობები ამ კუთხით სამხრეთ აფრიკასა და ახალ ზელანდიაში.

ბოლო სამი ათწლეულის განმავლობაში თუ უფრო მეტი, დიდი საქმე გაკეთდა სხვადასხვა ქვეყანაში პრაქტიკოსების, ტრენერების და დამსაქმებლების მიერ პრაქტიკისთვის საჭირო კომპეტენციებზე შეთანხმებით, თუ რა ცოდნა, უნარ-ჩვევები და ღირებულებები უნდა ქონდეს პრაქტიკოსებს და რა ტრენინგი ჭირდება მათ.

ეს ეროვნული სტანდარტები ითვალისწინებს საწყის წერტილს, რომლის საფუძველზეც უნდა შეიქმნას გამოწვევის, ცვლილებისა და გამდიდრების პროცესი (სტანდარტების მაგალითები შეგიძლიათ იხილოთ ქვემოთ)[6]. ხოლო იმის შესახებ რასაც ჩვენ ვუწოდებთ "საერთო საერთაშორისო სტანდარტს საზოგადოებრივი განვითარების პრაქტიკისთვის" ინფორმირებულ იქნა ბოლო წლებში განვითარებული სამუშაოების მიერ იმ ქვეყნებიდან, როგორიცაა ირლანდია, დიდი ბრიტანეთი, სამხრეთ აფრიკა და ახალი ზელანდია.

საზოგადოების განვითარების პროცესი უფრო მეტია, ვიდრე საზოგადოების საქმიანობა

ჩვენ გვინდა აღვწეროთ, თუ როგორ ხედავს ასოციაცია საზოგადოების განვითარებას. ეს პრაქტიკა ხორციელდება სხვადასხვა როლებისა და კონტექსტის მქონე ადამიანების მიერ, მათ შორის, იმ ადამიანების, რომლებსაც პირდაპირ უწოდებენ საზოგადოების პროფესიული მოღვაწეები, რომლებიც სხვადასხვა სფეროს პროფესიონალებთან ერთად ცდილობენ საზოგადოების განვითარებას ღირებულებებისა და მეთოდების გამოყენებით.

ჩვენ ვთავაზობთ, რომ ვუწოდოთ მათ, როგორც "საზოგადოების განვითარების პრაქტიკოსები" და გამოიყენოთ ეს, როგორც ყოვლისმომცველი ტერმინი, რომელიც ასევე მოიცავს "საზოგადოების მუშაკებს". ჩვენ ვიყენებთ ტერმინს "საზოგადოების განვითარების პრაქტიკოსი",რომელიც მოიცავს დასაქმებულ ადამიანებს (რომლებიც ღებულობენ ან არ ღებულობენ ხელფასს) სხვადასხვა დარგებიდან, რომლებიც იყენებენ საზოგადოების განვითარების ღირებულებებსა და მეთოდებს.

საზოგადოების განვითარება ასევე ითვალისწინებს ფართე პროფესიულ სპექტრს, მენეჯერულ და სტრატეგიულ როლებს.

6. http://cldstandardscouncil.org.uk/
http://www.ohcc-ccso.ca/en/courses/community-development-for-health-promoters/module-one-concepts-values-and-principles/values-
http://ctb.ku.edu/en/table-of-contents/analyze/choose-and-adapt-community-interventions/ethical-issues/main
cdctn.org/photos/custom/3.%20Code%20of%20Ethics.pdf
http://www.iedconline.org/web-pages/inside-iedc/iedc-code-of-ethics/
http://www.comm-dev.org/about/principles-of-good-practice
http://cldstandardscouncil.org.uk/resources/national-occupational-standards/

ყველა ეს პრაქტიკოსი მნიშვნელოვან როლს ასრულებს მონაწილეობითი დემოკრატიის, მდგრადი განვითარების, უფლებების, ეკონომიკური შესაძლებლობის, თანასწორობისა და სოციალური სამართლიანობის მხარდასაჭერად და ხალხის გასაძლიერებლად. ჩვენ ვიმედოვნებთ, რომ ეს სტანდარტები ყველასათვის სასარგებლოა.

მოდით კიდევ ერთხელ უფრო დეტალურად შევხედოთ საზოგადოების განვითარების საერთაშორისო ასოციაციის განმარტებას.

> "საზოგადოების განვითარება არის როგორც პრაქტიკაზე დაფუძნებული პროფესია ასევე აკადემიური დისციპლინა, რომელიც ხელს უწყობს დემოკრატიის, უფლებების, ეკონომიკური შესაძლებლობების, თანასწორობისა და სოციალური სამართლიანობის და განათლების განვითარებას, ხალხის გაძლიერებას ქალაქსა თუ სოფლებში."

ეს განსაზღვრება შეიძლება ჩაითვალოს როგორც მდგრადი ღირებულებების, მიზნისა და მუშაობის მეთოდების ნაკრებს.

ა. მდგრადი ღირებულებები

ამ განსაზღვრების ფარგლებში არის როგორც გამოკვეთილი, ასევე დაფარული განცხადებები ღირებულებებისა და სულისკვეთების შესახებ, რაც მხარს უჭერს ამ პროცესს. ეს შეიძლება გამოიხატოს შემდეგნაირად:

უფლებების დაცვა, სოლიდარობა, დემოკრატია, თანასწორობა, გარემოსდაცვითი და სოციალური სამართლიანობა.

ეს მნიშვნელოვანი განცხადება განიხილავს პროფესიულ პრაქტიკას, როგორც მუშაობას სხვადასხვა კონტექსტში გამოყენებული ეთიკური სტანდარტების მიხედვით, სხვადასხვა ორგანიზაციებთან თანამშრომლობით და ხალხთან მუშაობით.

ბ. მიზანი

დეფინიციაში არის საზოგადოების განვითარების მიზანი:

საზოგადოებასთან მუშაობა, დემოკრატიის, მდგრადი განვითარების, უფლებების, ეკონომიკური შესაძლებლობის, თანასწორობისა და სოციალური სამართლიანობის მისაღწევად.

ეს მაღალი დონის სამოტივაციო განაცხადი შეიძლება გამოყენებულ იქნას, როგორც მოდელი, რომელიც ასახავს ორივეს მოგზაურობასა და დანიშნულებას.

გ. მთავარი მეთოდები და პროცესები

განმარტებაში არის მკაფიო განცხადება საზოგადოების განვითარების პრაქტიკოსების მიერ მიღებული მეთოდებისა და პროცესების შესახებ:

"გაერთიანება, განათლება და ხალხის გაძლიერება ...".

საზოგადოების განვითარების მეთოდების ფორმირება და განათლება არის ყურადღების ცენტრში და ასევე ის, თუ როგორ შეუძლიათ საზოგადოების წევრებს თავიანთი შესაძლებლობების გაძლიერება, განათლებისა და საქმიანობის გაერთიანება. ეს პროცესი ეფუძნება დიალოგს მონაწილეებსა და საზოგადოების განვითარების პრაქტიკოსებს შორის, ის უნდა ეფუძნებოდეს ურთიერთპატივისცემას, ნდობასა და სწავლის განვითარებას. ჩვენ ვაღიარებთ საზოგადოების განვითარების პრაქტიკაში არსებულ დაძაბულობას, გაურკვევლობისა და წინააღმდეგობის გაწევის მნიშვნელობას, სტატუს-კვოს გამოწვევას და როგორც ჩვენს კონსულტაციებში ერთმა რესპონდენტმა აღნიშნა "კომპეტენტური სოლიდარობის" გამოყენებას.

ვინ არიან მონაწილეები?

დ. მონაწილეები

ასოციაციის განმარტება ეხება სხვადასხვა ტერიტორიებზე მცხოვრებ ადამიანებს, რომლებსაც აქვთ განსხვავებული იდენტურობა ან ინტერესი. აქედან გამომდინარეობს, რომ საზოგადოების განვითარების პრაქტიკოსი იმუშავებენ იმავე ტერიტორიაზე მცხოვრებ ადამიანებთან; და აშკარად ეს არის საზოგადოების განვითარება. მაგრამ საზოგადოება არ არის იზოლირებული; ის მუდმივად ითანამშრომლებს სამთავრობო უწყებების, არასამთავრობო ორგანიზაციების, ბიზნესების, პოლიტიკოსების და სამოქალაქო საზოგადოების ფართო სპექტრთან.

ეს ხაზს უსვამს საზოგადოებრივი განვითარების პრაქტიკოსების მუშაობის ორმხრივ მიმართულებას: როგორც დასახლებებში მცხოვრებ ადამიანებთან, ისე ფართო სპექტრის სააგენტოებისა და ორგანიზაციებთან, მთავრობასთან, ადგილობრივ ხელისუფლებასთან, არასამთავრობო ორგანიზაციებთან, კერძო სექტორთან, საერთაშორისო და ეროვნული დონორებთან დამფინანსებლებთან და სხვა. ამდენად, საორგანიზაციო და საგანმანათლებლო საქმიანობასთან ერთად, პრაქტიკოსის მოვალეობა იქნება, იმ გარე ორგანიზაციებზე ზეგავლენა, რათა მოხდეს საზოგადოების უფრო მეტად გაძლიერება.

ჩვენ დავადგინეთ რვა თემა, რომელიც არის საყოველთაოდ ცნობილი და მნიშვნელოვანი საზოგადოების განვითარებაში. ესენი არიან:

- ღირებულებების მნიშვნელობა პრაქტიკაში
- საზოგადოებაში ჩართვა
- მონაწილეობითი დაგეგმვის უზრუნველყოფა
- გაერთიანება ცვლილებებისთვის
- სწავლა ცვლილებებისთვის
- მრავალფეროვნების ხელშეწყობა და ჩართულობა
- ლიდერობა და ინფრასტრუქტურა
- პოლიტიკისა და პრაქტიკის განვითარება და გაუმჯობესება

1. საზოგადოების განვითარების თემები არის ერთობლივი და საყოველთაოდ ცნობილი მთელს მსოფლიოში.



ეს რიცხვი თვალსაჩინოა მხოლოდ და არ გულისხმობს გარკვეულ ხელოვნურ ხაზობრივ პროცესს, რომლის მიხედვითაც ერთს მიჰყვება სხვა. რეალობაა ის, რომ თითოეული მათგანი ერთმანეთთან უწყვეტ კავშირში იქნება, რადგან საზოგადოების განვითარების პრაქტიკოსი მუშაობს თემის მოსახლეობასთან და ბევრ სააგენტოსა და ორგანიზაციასთან, რომლებიც გავლენას ახდენენ ამ თემებზე.

შემდეგ ჩვენ განვსაზღვრეთ საზოგადოების განვითარების ძირითადი სფეროები, ხოლო ამ პროცესს ახორციელებენ სხვადასხვა პროფესიის ადამიანები. ამის შემდეგ, ჩვენ შევიმუშავეთ სტანდარტები ძირითადი სფეროების შესახებ.

ეს დეტალები მოცემულია შემდეგ სექციებში.

როგორც უკვე აღინიშნა, საზოგადოების განვითარების პრაქტიკა ითვალისწინებს რიგ პროფესიონალურ გარემოცვებს. კონკრეტული როლების ფარგლებში პრაქტიკოსები უფრო მეტ ყურადღებას გაამახვილებენ ზოგიერთ თემასა და სამუშაო ადგილებზე, ვიდრე სხვები და შეიძლება არ ჰქონდეთ საშუალება და საჭიროება ყველა სტანდარტული განცხადების გაცნობისა და პრაქტიკაში გამოყენების. მაგრამ ყველა საზოგადოების განვითარების პრაქტიკოსი მაინც უნდა იყოს ინფორმირებული ყველა თემის, სამუშაო ადგილებისა და სტანდარტების შესახებ, რათა მათ იცოდნენ, როგორ ახდენს ეს გავლენას ცვლილების ფართო პროცესებზე.

სტრატეგიები და ტაქტიკა, რომლებსაც ირჩევს მოსახლეობა განსხვავდება პოლიტიკური, ეკონომიკური, გარემოსდაცვითი, სოციალური და კულტურული კონტექსტის გავლენით. საზოგადოების განვითარების პრაქტიკოსების როლი არის ის რომ, მისცენ გარკვეული უფლებები და შესაძლებლობები მოსახლეობას იმისათვის რომ, მათ შეძლონ თავიანთი პოზიციებისა და აზრების ჩამოყალიბება და განვითარება, მიზნების დასახვა, გადაწყვეტილებების მიღება, რაც გაიყვანს მათ გარკვეულ შედეგებზე. საზოგადოებამ, მოსახლეობამ თვითონ უნდა გადაწყვიტონ, თუ რა სტრატეგიებსა და ტაქტიკა მიიღებენ და გაატარებენ, თუმცა პრაქტიკოსებმა უნდა გამოიყენონ თავიანთი საგანმანათლებლო და ორგანიზაციული გამოცდილება, რომ გაუზიარონ ადამიანებს, რომლებთანაც იმუშავებენ. პრაქტიკოსებმა უნდა იცოდნენ, როდის უნდა ჩაერიონ პირდაპირ და როდის არა.

ცხრილი 1: თემები და ძირითადი სფეროები



თემები, ძირითადი სფეროები და მტკიცებულებები გვაძლევს ინფორმაციას საზოგადოების განვითარების ძირითად მიმართულებებზე; აქ არ არის უპირატესობა ერთი ტიპის სტრატეგიისა ან ტაქტიკის მეორეზე.

თემები	ძირითადი თემატური სფეროები
ღირებულებები პრაქტიკაში	საზოგადოებრივი განვითარების ღირებულებების, პროცესებისა და შედეგების გააზრება და მათი გამოყენება სხვა ძირითად მიმართულებებში.
ჩართულობა	მოსახლეობის (საზოგადოების) გაცნობა, ურთიერთობების მხარდაჭერა და შენარჩუნება ცალკეულ პიროვნებებსა და ჯგუფებთან.
ერთობლივი დაგეგმვა	ერთობლივი მუშაობა და საზოგადოების მონაწილეობის განვითარება და მხარდაჭერა.
გაერთიანება ცვლილებისთვის	საზოგადოების ჩართვა ერთობლივ საქმეში, მისი გავლენის და ხელმისაწვდომობის გაზრდა, რესურსებზე და მომსახურებაზე კონტროლი.
სწავლა ცვლილებისთვის	ადამიანებისა და ორგანიზაციების მხარდაჭერა ერთობლივი სწავლის, დონის და ნდობის ამაღლებისთვის და სოციალური ცვლილებებისთვი საჭირო უნარების განვითარება.
მრავალფეროვნება და ჩართულობა	წესების, პოლიტიკის, სტრუქტურებისა და პროგრამების შექმნა და მიწოდება, რომლებიც აღიარებენ და პატივს სცემენ მრავალფეროვნებას და ხელს შეუწყობენ ჩართულობას.
ლიდერობა და ინფრასტრუქტურა	ინფრასტრუქტურისა და ორგანიზაციული განვითარების ხელშეწყობა და მხარდაჭერა, ლიდერობის განმტკიცებადა გაძლიერება.

თემები, ძირითადი სფეროები და განცხადებები

თემა 1: ღირებულებები

ეს თემა ყურადღებას ამახვილებს იმ ღირებულებების გააზრებაზე, რომლებიც მხარს უჭერენ საზოგადოებრივ განვითარებას ყველა კონტექსტში, პროცესებსა და მის შედეგებზე, და ცოდნის გამოყენებაზე პრაქტიკულ კონტექსტში.

საზოგადოების განვითარების პრაქტიკა ძირითადი სფერო 1:

საზოგადოების ღირებულებების, პროცესების, შედეგების გაგება და გამოყენება ყველა სხვა ძირითად სფეროებში.

ამ ძირითად სფეროში, საზოგადოებრივი განვითარების პრაქტიკოსები, რომლებიც მუშაობენ სხვადასხვა დისციპლინების სფეროებში უნდა აჩვენონ, რომ ისინი:

ა. კარგად იაზრებენ საზოგადოებრივი განვითარების ღირებულებებს, პროცესებს და შედეგებს და საკუთარ როლს ამ პროცესებში.

ბ. იციან, თუ როგორ განავითარონ საკუთარი თავი, როგორც საზოგადოებრივი განვითარების პრაქტიკოსები.

გ. იციან, თუ როგორ დაეხმარონ და ხელი შეუწყონ საზოგადოების განვითარებას და შესაბამის ორგანიზაციებს.

თემა 2:
ჩართულობა

ეს თემა ყურადღებას ამახვილებს საზოგადოების გაცნობაზე, ვისთანაც ერთად მუშაობს პრაქტიკოსი, იმ საკითხების გააზრებაზე, რომლებიც გავლენას ახდენენ საზოგადოების განვითარების პროცესზე და ურთიერთობების ჩამოყალიბებაზე, რაც საფუძველს ქმნის პოზიტიური ცვლილებებისთვის.

საზოგადოების განვითარების პრაქტიკა ძირითადი სფერო 2:

საზოგადოებასთან დაახლოება, ურთიერთობების დამყარება და შენარჩუნება ცალკეულ ადამიანებთან და ჯგუფებთან.

ამ ძირითად სფეროში, საზოგადოებრივი განვითარების პრაქტიკოსები, რომლებიც მუშაობენ სხვადასხვა დისციპლინების სფეროებში უნდა აჩვენონ, რომ ისინი:

ა. კარგად იაზრებენ სოციალურ, პოლიტიკურ, კულტურულ და ეკონომიკურ ფაქტორებსა და გარემოს დაცვასთან დაკავშირებულ საკითხებს, რომლებიც გავლენას ახდენენ ადგილობრივ საზოგადოებაზე, განსაკუთრებით დაბალი სოციალური კლასის წევრებზე.

ბ. კარგად აცნობიერებენ, თუ როგორ გაეცნონ საზოგადოებას, მის საშუალებებს, საჭიროებებს, არაფორმალურ ქსელებს, ინტერესებს, მოტივაციებს, ძალაუფლების დინამიკას და ბარიერებს და თუ როგორ გამოიყენონ კვლევის უნარები ამის შესასრულებლად.

გ. იციან თუ, როგორ უნდა მოიძიონ და ჩართონ საზოგადოების ყველა წარმომადგენელი, მოუსმინონ და დაუკავშირდნენ პირადად მათთვის ხელმისაწვდომი მედიის საშუალებით.

დ. საზოგადოების ყველა ფენასთან დაკავშირებული ჯგუფების მუშაობის, ღირებულებების, შესაძლებლობებისა და ამოცანების გაცნობიერება, პატივისცემა და აღიარება და ორმხრივი ნდობის საფუძველზე ურთიერთობების დამყარება.

ე. იციან თუ როგორ უნდა ითანამშრომლონ საზოგადოებებთან, რათა შეიმუშავონ მონაწილეობისა და ჩართულობის შესაძლებლობები და ის თუ, როგორ უნდა დავძლიოთ ბარიერები.

ვ. იციან თუ როგორ უნდა ითანამშრომლონ საზოგადოებებთან ერთობლივი შეთანხმების მისაღებად, იმის აღიარებით თუ რა არის ინტერესთა კონფლიქტი და მათი გადაჭრის ეფექტური გზები.

თემა 3: ერთობლივი დაგეგმვა

ეს თემა ყურადღებას ამახვილებს საზოგადოების მონაწილეობის განვითარებაზე და პარტნიორობის გაძლიერებაზე და მოსახლეობის და ორგანიზაციების მხარდაჭერაზე.

საზოგადოების განვითარების პრაქტიკა ძირითადი სფერო 3:

გაცნობიერო, განავითარო და მხარი დაუჭირო ერთობლივ მუშაობას და საზოგადოების მონაწილეობის განვითარებას.

დისციპლინების სხვადასხვა სფეროში მომუშავე პრაქტიკოსებმა უნდა აჩვენონ, რომ მათ იციან როგორ:

ა. დახმარება გაუწიოს საზოგადოებას ადგილობრივი, ეროვნული და მსოფლიო პოლიტიკური პროცესების გააზრებაში და ასევე ის, რომ სადაც ძალა და გავლენა მოტყუებაა.

ბ. უფლება მისცენ საზოგადოებას, რათა გაიგონ და გამოიყენონ ორივე არსებული კვლევითი ინფორმაცია და გამოიყენონ კვლევის მეთოდები საკუთარ გარემოში.

გ. წარადგინონ ინიციატივა და მონაწილეობა მიიღონ პარტნიორულ და ერთობლივ საქმიანობაში საზოგადოების გაძლიერებისათვის, აღიარონ ინტერესთა კონფლიქტი.

დ. ხელი შეუწყონ საზოგადოების, საჯარო დაწესებულებებისა და არასამთავრობო ორგანიზაციების ურთიერთობებს.

ე. გავლენა მოახდინონ საჯარო დაწესებულებებისა და სხვადასხვა ადამიანებზე, რომლებიც იღებენ სერიოზულ გადაწყვეტილებებს, რათა მოხდეს საზოგადოების ეფექტური გაძლიერება.

ვ. ითანამშრომლონ საზოგადოებასტან და სააგენტოებთან, რათა დადგინდეს საჭიროებები, შესაძლებლობები, უფლებები და მოვალეობები, სადაც იქნება აღიარებული ინტერესთა კონფლიქტი.

გ. ჩამოშალონ საზოგადოების ჩართულობის ბარიერები და ასევე მისცენ საზოგადოების წარმომადგენლებს საშუალება აქტიური როლი ითამაშონ სტრატეგიულ დაგეგმვაში, გადაწყვეტილებების მიღებაში და სხვა.

თემა 4: გაერთიანება ცვლილებისთვის

ეს თემა ყურადღებას ამახვილებს საზოგადოებისთვის უფლების მინიჭებაზე, რათა მიიღონ ერთობლივი გადაწყვეტილებები და განავითარონ ეს უნარები; და იმ კონტექსტის განვითარებაზე, სადაც მათი ერთობლივი ქმედება შენარჩუნებულია და დამტკიცებულია როგორც ცვლილებების პოზიტიური ძალა.

საზოგადოების განვითარების პრაქტიკა ძირითადი ფართი 4:

საზოგადოების გააქტიურება ერთობლივი ქმედებების, მათი გავლენის გაზრდის, რესურსების ხელმისაწვდომობისა და მონაწილეობის მიღება მომსახურების მართვაში.

დისციპლინების სხვადასხვა სფეროში მომუშავე პრაქტიკოსებმა უნდა აჩვენონ, რომ მათ იციან როგორ:

ა. მხარი დაუჭირონ ადამიანებს ერთობლივი მუშაობისთვის სხვადასხვა მიზნების მისაღწევად, ჯგუფების შესაქმნელად და სხვადასხვა აქტივობების ჩასატარებლად.

ბ. მხარი დაუჭირონ საზოგადოების გაერთიანებას, რათა მოხდეს პოზიტიური ცვლილება.

გ. მხარი დაუჭირონ ადამიანებს და ჯგუფებს, რათა მოხდეს კონფლიქტების ეფექტურად მართვა და მოგვარება.

დ. გავლენა იქონიონ გადაწყვეტილების მიმღებებზე, რათა აღიარონ საზოგადოების მიერ ერთობლივი მოქმედებების პოტენციური სარგებლობა და მათთან ურთიერთობების დამყარება.

ე. მხარი დაუჭირონ საზოგადოების მონაწილეობას ბიუჯეტირებისა, მიწის, რესურსებისა და მომსახურების მართვასა და მფლობელობაში.

ვ. მხარი დაუჭირონ საზოგადოების ხელმისაწვდომობას რესურსებზე, სახსრებზე და ტექნიკური მოწყობილობაზე.

თემა 5:
სწავლა ცვლილებისთვის

ეს თემა ყურადგებას ამახვილებს ხალხში სწავლის ხელშეწყობაზე და მათთან მომუშავე პრაქტიკოსებზე, რომლებიც მხარს უჭერენ პრიორიტეტების განვითარების პროცესს.

საზოგადოების განვითარების პრაქტიკა ძირითადი სფერო 5:

ხალხისა და ორგანიზაციების ერთობლივი სწავლა სოციალური ცვლილებებისთვის.

დისციპლინების სხვადასხვა სფეროში მომუშავე პრაქტიკოსებმა უნდა აჩვენონ, რომ მათ იციან თუ როგორ:

ა. გამოიყენონ ადამიანების გამოცდილება, ცოდნა, უნარ-ჩვევები და მეთოდები ერთობლივი მუშაობისთვის, სწავლის საჭიროებების გამოვლენისა და დაკმაყოფილებისთვის.

ბ. განავითარონ სწავლის შესაძლებლობები და ისეთი აქტივობები, რათა მოხდეს საჭიროებების დაკმაყოფილება ეფექტური საზოგადოების განვითარებისთვის.

გ. გამოიყენონ ეფექტური კომუნიკაციური უნარები, როგორიცაა აქტიური მოსმენა, ასევე წერილობითი და ვიზუალური კომუნიკაცია, სოციალური მედია, ფილმი და ბეჭდური მედია და ICT - რათა ხელი შეუწყონ ერთობლივ სწავლისა და საზოგადოებრივ საქმიანობას.



დ. ხელი შეუწყონ იმ ცვლილებას, რომელიც ასახავს საზოგადოების განვითარების ღირებულებებსა და მიზნებს.

ე. მხარი დაუჭირონ სამთავრობო, არასამთავრობო და კერძო სექტორის ორგანიზაციებს მათი პერსონალის სწავლის საჭიროებების იდენტიფიცირებაში საზოგადოების განვითარებასთან დაკავშირებით.

თემა 6:
მრავალფეროვნება და ჩართულობა

ეს თემა ყურადღებას ამახვილებს მრავალფეროვნების აღიარებისა და ჩართულობის მხარდაჭერაზე, რადგან ეს არის საზოგადოების განვითარების მთავარი ასპექტები.

საზოგადოების განვითარების პრაქტიკა ძირითადი სფერო 6:

შეიმუშავებს და მიაწოდებს მოქმედების კურსს, სტრუქტურებსა და პროგრამებს, რომლებიც აღიარებენ და პატივს სცემენ მრავალფეროვნებას და ხელს შეუწყობენ ჩართულობას.

დისციპლინების სხვადასხვა სფეროში მომუშავე პრაქტიკოსებმა უნდა აჩვენონ, რომ მათ იციან თუ როგორ:

ა. გააცნობიერონ, თუ როგორ გავლენას ახდენს საზოგადოების სხვადასხვა ფენებზე, განსაკუთრებით მარგინალიზებულ ჯგუფებზე სოციალური, პოლიტიკური, ეკონომიკური, კულტურული და გარემოსთან დაკავშირებული ფაქტორები.

ბ. იმუშაონ ინკლუზიური გზებით მრავალფეროვან და მარგინალიზებულ საზოგადოებასთან, რაც უზრუნველყოფს საზოგადოების ჩართულობას და მრავალფეროვნების პატივისცემას.

გ. იციან, თუ როგორ უნდა დაუჭირონ მხარი ჯგუფებს უნარ-ჩვევებისა და ნდობის განვითარებაში.

დ. იციან, თუ როგორ უნდა გამოავლინონ დისკრიმინაცია ჯგუფებში, მომუშავე უწყებების მხრიდან და მხარი დაუჭირონ იმ ადამიანს, რომლებიც არიან დისკრიმინაციის მსხვერპლი და აქტიურად ვერ მონაწილეობენ აქტივობებსა და ჯგუფების მუშაობაში.

ე. იციან, თუ როგორ უნდა გამოხატონ კულტურული თავმდაბლობა, შექმნან სივრცეები, რომლებიც უსაფრთხოა სხვადასხვა შეხედულებებისა და პერსპექტივების მქონე ადამიანებისთვის.

ვ. იციან, თუ როგორ დაუჭირონ მხარი ორგანიზაციებსა და საზოგადოებას, რათა მიიღონ ინკლუზიური პრაქტიკა და პატივი სცენ მრავალფეროვნებას.

გ. იციან, თუ როგორ უნდა განავითარონ და მხარი დაუჭირონ საზოგადოებრივ, ინკლუზიურ მოქმედების კურსს, პროგრამებსა და პრაქტიკას.

თემა 7:
ლიდერობა და ინფრასტრუქტურა

ეს თემა ყურადღებას ამახვილებს ლიდერობისა და ინფრასტრუქტურის განვითარებაზე საზოგადოებაში.

საზოგადოების განვითარების პრაქტიკა ძირითადი სფერო 7:

ორგანიზაციული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის და ლიდერობის ხელშეწყობა.

დისციპლინების სხვადასხვა სფეროში მომუშავე პრაქტიკოსებმა უნდა აჩვენონ, რომ მათ იციან თუ როგორ:

ა. მხარი დაუჭირონ ჯგუფებს საკუთარი პრაქტიკის, მოქმედების კურსის, გარე შესაძლებლობებისა და საფრთხეების განხილვაში.

ბ. მხარი დაუჭირონ ჯგუფებს თავიანთი სამომავლო მდგრადობის განვითარებისთვის, ასევე სტრატეგიულ და ბიზნეს გეგმებს მათი მიზნებისა და ამოცანების მისაღწევად.

გ. მხარი დაუჭირონ საზოგადოების ქმედუნარიანობას, ნიჭს და ლიდერობის განვითარებას.

დ. იციან, როგორ მოახდინონ გავლენა და რა ურჩიონ ორგანიზაციულ სტრუქტურების კულტურას, პოლიტიკას, პრაქტიკასა და ქცევას საზოგადოების განვითარების მხარდასაჭერად.

ე. გააცნობიერონ პოლიტიკური კონტექსტი და შესაძლებლობები, გამოწვევები და რისკები; და მხარი დაუჭირონ საზოგადოებას სტრატეგიების შეუშავებაში.

ვ.წაახალისონ ადგილობრივი საზოგადოების ლიდერები, რათა მათ აითვისონ და გაატარონ ლიდერობის დემოკრატიული, მონაწილეობითი და ინკლუზიური მიმართულებები, რაც ხელს შეუწყოფს თანამშრომლობას პარტნიორებთან.

გ. მხარი დაუჭირონ ორგანიზაციებს, რათა მათ შეიმუშავონ სამუშაო სისტემები, რომლებიც ხელს შუწყობენ ეფექტური საზოგადოების განვითარების პროცესს.

თემა 8: პოლიტიკისა და პროცესის შემუშავება და გაუმჯობესება

ეს თემა ყურადღებას ამახვილებს ერთობლივი შეფასებებისა და შესაბამისი გარე ფაქტორების ანალიზის მონაცემებზე, რათა მოხდეს სწორი მოქმედების კურსის შემუშავება და განვითარება.

საზოგადოების განვითარების პრაქტიკა ძირითადი სფერო 8:

საზოგადოების განვითარების სამოქმედო კურსისა და პროცესის შემუშავება, შეფასება და ინფორმირება ერთობლივი შეფასების სისტემის გამოყენებით.

დისციპლინების სხვადასხვა სფეროში მომუშავე პრაქტიკოსებმა უნდა აჩვენონ, რომ მათ იციან თუ როგორ:

ა. განიხილონ და შეაფასონ საზოგადოების განვითარების საქმიანობა მონაწილეობითი მეთოდების გამოყენებით.

ბ. მხარი დაუჭირონ საზოგადოების ჯგუფებს, რათა მათ გამოიყენონ მონიტორინგისა და შეფასების სისტემები, იმისათვის რომ თვალი ადევნონ პროცესის მიმდინარეობას, დააფიქსირონ წარმატებები, ისწავლონ გამოცდილებიდან და გავლენა მოახდინონ მომავალ აქტივობებზე.

გ. შეაგროვონ და გამოიყენონ მონაცემები, როგორც საკუთარი გამოცდილებიდან, ასევე საზოგადოების სხვა წარმომადგენლებისაგან და ზეგავლენა მოახდინონ საზოგადოების განვითარების მოქმედების კურსზე.

დ. გაანალიზონ ის, თუ როგორ გავლენას ახდენს საზოგადოების განვითარების პროცესზე ცვლილებები სოციალურ, პოლიტიკურ, ეკონომიკურ, კულტურულ და გარემოდაცვის სფეროებში.

ე. მხარი დაუჭირონ პრაქტიკოსებსა და საზოგადოების განვითარების სამუშაო ჯგუფებს, რათა მათ მოახდინონ საზოგადოების განვითარების ერთობლივი მონიტორინგი და შეფასება, რომელიც წარმოაჩენს ამ პროცესის შედეგებსა და მიღწევებს.

ვ. ჩართონ კრიტიკული აზროვნება სამუშაო პროცესში იმისათვის რომ, გამოავლინონ სწავლის საჭიროებები და განაგრძონ პროცესის გაუმჯობესება.

თ. მოამზადონ შეფასების ანგარიშები ორგანიზაციებისთვის, დამფინანსებლებისთვის და სხვა დაინტერესებული მხარეებისათვის, რომლებშიც იქნება ინფორმაცია იმის შესახებ თუ, რა ზომები ახდენენ გავლენას პროცესზე.

დასკვნა
და
შემდეგი ნაბიჯები

საერთაშორისო სტანდარტების შემუშავება ყოველთვის იყო მორიგი გონივრული ნაბიჯი საზოგადოების განვითარების ერთობლივი განმარტების ჩამოყალიბებაში. ისევე, როგორც განმარტება სარგებლობს დიდი მხარდაჭერით, ვიმედოვნებთ, რომ ეს საერთაშორისო სტანდარტებიც იქნება არანაკლებ მნიშვნელოვანი.

ამ დოკუმენტის დასაწყისში ჩვენ ვთქვით, რომ ჩვენ ვხედავთ ამ საერთაშორისო სტანდარტებს, როგორც საწყის ეტაპს სხვადასხვა ქვეყნებში მომუშავე საზოგადოების განვითარების პრაქტიკოსებისთვის, რათა მათ გამოიყენონ და მოარგონ მათი სხვადასხვა სამუშაო სფეროებში - სოციალურ, ეკონომიკურ, კულტურულ და პოლიტიკურ კონტექსტებში. ჩვენ ვაღიარებთ, რომ ეს კონტექსტი მნიშვნელოვნად განსხვავდება, ამიტომ საერთაშორისო სტანდარტები შეიძლება არ იყოს ყველგან განხორციელებადი. საზოგადოების განვითარების საერთაშორისო ასოციაცია არ არის ამ პროცესის მარეგულირებელი ორგანიზაცია და არ არსებობს ვალდებულება ან მოთხოვნა, რომ სხვა ორგანიზაციებმა მიიღონ ეს სტანდარტები. თუმცა, ამ სტანდარტების შემუშავებისას, ჩვენი განზრახვა იყო ის რომ, შეგვეთავაზებინა ეს სტანდარტები როგორც სახელმძღვანელო და გზამკვლევი პრაქტიკოსებისთვის, განათლებაში მომუშავე ადამიანებისთვის, დამსაქმებლებისთვის, რეგიონალური და ეროვნული ასოციაციებისთვის და ეროვნული მთავრობებისთვის, რათა გამოყენებულ იქნას საზოგადოების განვითარების პროცესის და პროფესიული განვითარების პროგრამებისა და შესაძლებლობების ხარისხის გასაუმჯობესებლად და გასაძლიერებლად. საერთაშორისო სტანდარტები ასევე გვთავაზობენ საერთაშორისო თანამშრომლობის გაღრმავებას, გაძლიერებას და სწავლებისა და პრაქტიკის გაცვლას საერთაშორისო დონეზე.

უგრო მეტიც, ჩვენ ვიმედოვნებთ რომ, საერთაშორისო სტანდარტები, ხელს შეუწყობენ მზარდ ურთიერთგაგებასა იმ პირთა შორის, რომლებიც ჩართულნი არიან საზოგადოების განვითარების პროცესში.

როგორ შეიძლება საერთაშორისო სტანდარტების გამოყენება

მიუხედავად იმისა, რომ სტანდარტები შეიძლება გამოყენებულ იქნას, როგორც გზამკვლევი სახელმძღვანელო, რათა დაეხმაროს ადამიანებს ერთობლივად განსაზღვრონ დანიშნულება (შედეგები) და ჩამოაყალიბონ მოგზაურობა (პროცესი), ამ სტანდარტებს ასევე შეუძლია გამოიწვიონ გარკვეული კრიტიკა, როგორც მოგზაურობის(პროცესის) ასევე დანიშნულების (შედეგების) შესახებ.

სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, სტანდარტები შეიძლება გამოყენებულ იქნეს სამოქმედო გეგმის შესამუშავებლად, შემდეგ ამ გეგმის განსახორციელებლად და სწავლის პროცესის მხარდაჭერად. როგორც ასეთი, სტანდარტები შეიძლება გამოყენებულ იქნას ყველა საზოგადოების განვითარების სპეციალისტების მიერ მრავალი მიზნებისთვის -

- რათა ამაღლდეს საზოგადოების ცნობიერება, იმასთან დაკავშირებით, თუ რა არის საზოგადოების განვითარება,
- ხელი შეუწყოს იმ ღირებულებებს, რომელთა საფუძველზე ხდება საზოგადოების განვითარება,
- გააძლიეროს პროცესი,
- თეორიისა და მოქმედების კურსის ინფორმირება
- აკადემიური და პრაქტიკაზე დაფუძნებული სწავლის მოდელირება.

ჩვენ ვიმედოვნებთ, რომ საზოგადოების განვითარების პრაქტიკოსები მიიღებენ და ისარგებლებენ ამ სტანდარტებით, როგორც დამატებითი მასალა იმ ქვეყნებში, სადაც ეროვნული სტანდარტები არსებობს და, როგორც სახელმძღვანელო გზამკვლევი იმ ქვეყნებში, სადაც არ არსებობს ეროვნული სტანდარტები.

სტანდარტების შემუშავების პროცესის ფარგლებში, ჩვენ ვთხოვეთ კონკრეტული იდეები იმის შესახებ, თუ როგორ შეიძლება გამოყენებულ იქნეს სტანდარტები. ჩვენ შევიტანეთ ქვემოთ მოცემული იდეები:

- ჩატარდეს დისკუსიები სხვადასხვა უწყებებისა და ორგანიზაციების შორის ადგილობრივ და მსოფლიო დონეზე საზოგადოების განვითარების მიზნების, ღირებულებების და მოქმედების მთავარი სფეროების შორის
- შემუშავდეს რესურსები, რომლებიც აჩვენებენ, თუ როგორ გავლენას ახდენს განსხვავებული კონტექსტები პროცესზე სხვადასხვა ქვეყნებში
- მოხდეს საერთაშორისო ქსელის მხარდაჭერა და მაგალითებისა და გამოცდილების გაზიარება
- შეიქმნას ურთიერთგაგება საზოგადოებაში და ორგანიზაციებს შორის საზოგადოების განვითარების მთავარ მიზნებზე და ღირებულებებზე
- მოხდეს დისკუსიების მხარდაჭერა, რომლებიც შეეხება ისეთ საკითხებს, როგორიცაა მონაწილეობითი დაგეგმვა და საზოგადოების საკუთრება, რომლებიც ერთობლივ მოქმედებასა და გაძლიერებას შეუწყობენ ხელს
- მოხდეს ინფორმირება საზოგადოების განვითარების პრაქტიკოსების სწავლისა და გადამზადების პროგრამეს გეგმების შედგენის შესახებ
- შემუშავდეს თვითშეფასების სწავლის საშუალებები
- მოხდეს სხვადასხვა საერთაშორისო მაგალითების გაზიარება იმის შესახებ, თუ როგორ გამოიყენება სტანდარტები - ალბათ თითოეული ძირითადი სფეროების ირგვლივ
- განათლებისა და ტრენინგის პროგრამებში ჩართვისათვის მოხდეს საერთაშორისო რესურსების შემუშავება - ხოლო პრაქტიკასთან ასოცირებული კონკურენცია და სენსიტიურობა უნდა იყოს ამოღებული
- მოხდეს ასოციაციის ინფორმირება სწავლისა და სწავლების რესურსების არქივის შესახებ
- მოხდეს "საერთო ბაზის" უზრუნველყოფა, რომლის საფუძველზეც განვითარდება საერთაშორისო კვლევა და ჰუმანიტარული განათლება საზოგადოების განვითარების შესახებ



ერთობლივი სწავლის მხარდასაჭერად ჩვენ გვსურს, რომ თქვენ გაგვიზიაროთ, როგორ იყენებთ ამ სტანდარტებს. ასოციაცია შექმნის ღია ფორუმს სტანდარტების შესახებ თავის ვებ-გვერდზე და ჩვენ შევქმნით სპეციალურ განყოფილებას, სადაც წევრებს შეუძლიათ გააზიარონ ის, თუ როგორ იყენებენ სტანდარტებსა და რესურსებს. ასევე ჩვენი განზრახვაა, რომ ხელი შევუწყოთ საზოგადოების განვითარების განმანათლებლების საერთაშორისო ფორუმის ჩამოყალიბებას.

1970-იან და 80-იან წლებში ასოციაციამ ჩაატარა საზოგადოების განვითარების ტრეინინგი სახელწოდებით "Clearing House" (სახლის გაწმენდა). ეს პროგრამა უკვე დიდი ხანია დაიხურა. ამჟამად მსოფლიოში არსებობს ფართო გავრცელებული სამაგისტრო პროგრამები, რომლებიც სთავაზობენ საზოგადოების განათლებასა და მომზადებას გარკვეულ დონეზე. თუმცა, მომავალი წლების განმავლობაში, ასოციაციის გადამზადებისა და პროფესიული განვითარების კომიტეტი იმუშავებს პარტნიორებთან ერთად, რათა შეიმუშავონ აკრედიტირებული კურსები, მათ შორის ონლაინ პროგრამები და პროფესიული განვითარების მოდულები, რომელიც მიზნად ისახავს სხვადასხვა ქვეყნების საზოგადოების განვითარების პრაქტიკოსების გადამზადებასა და განვითარებას.

თუ თქვენ ხართ დაინტერესებული მონაწილეობა მიიღოთ და შეუერთდეთ საერთაშორისო ასოციაციის მუშაობას "თანამეგობრობის მუშაობა", მიმართეთ ასოციაციის ტრენინგებისა და პროფესიული განვითარების კომიტეტის თავმჯდომარეს ჯონ სტანსფილდს jstansfield@unitec.ac.nz

This report was prepared for IACD by Colin Ross, Anna Clarke, Charlie McConnell, Paul Lachapelle and John Stansfield. IACD wishes to acknowledge the considerable support received from the Community Learning and Development Standards Council Scotland.

IACD's Practice Insights magazine

sharing practice and research about community development from around the world.



Back issues are available here: www.iacdglobal.org/category/resources/magazine/

ასოციაციის შესახებ

IACD - არის ერთადერთი მსოფლიო ქსელი, რომელიც აძლევს პროფესიული განვითარების საშუალებას საზოგადოების განვითარების პრაქტიკოსებს. ჩვენ მხარს ვუჭერთ განვითარების ორგანიზაციებს და პრაქტიკოსებს, რათა გაზარდონ საზოგადოების შესაძლებლობები და უზრუნველყონ მეტი სოციალური და ეკონომიკური თანასწორობა, გარემოს დაცვისა და პოლიტიკური დემოკრატიის განხორციელება.

რას ვაკეთებთ?

IACD ადამიანებს ერთმანეთთან აკავშირებს. ჩვენ ხელს ვუწყობთ სწავლისა და პრაქტიკის გაზიარებას, როგორც ტექნოლოგიების მეშვეობით ასევე პირისპირ. ჩვენ ვთანამშრომლობთ პარტნიორ კომპანიებთან, ვაწყობთ რეგიონალურ, ეროვნულ და საერთაშორისო ღონისძიებებს, სასწავლო ვიზიტებსა და კონფერენციებს. ჩვენ ვაგროვებთ მასალებს იმ სამუშაოების შესახებ, რომლებიც ჩვენი პრაქტიკოსები აკეთებენ მთელ მსოფლიოში და შემდეგ ამ მასალებს ვაქვეყნებთ ჩვენს ვებ-გვერდზე, პუბლიკაციებსა და ელექტრონულ საინფორმაციო სისტემებში. ჩვენ ვატარებთ სამეცნიერო კვლევებსა და პროექტებს, ვაცნობთ საერთაშორისო გამოცდილებას.

IACD მიზნად ისახავს თავის წევრებს მისცეს ხმის უფლება მსოფლიო დონეზე, საზოგადოების განვითარების პრინციპებისა და პრაქტიკის მხარდასაჭერად. ჩვენს ასოციაციას აქვს საკონსულტაციო სტატუსი გაეროსა და მის უწყებებში.

ჩვენი საერთაშორისო ჟირნალი Practice Insights გამოიცემა წელიწადში სამჯერ, თითოეული მათგანი ყურადღებას ამახვილებს საზოგადოების კონკრეტული სფეროების განვითარებაზე. თუ გსურთ დამატებითი ინფორმაციის მიღება ან მომავალი გამოცემებისთვის წვლილი შეიტანა, გთხოვთ, დაგვიკავშირდეთ charlie.mcconnell@iacdglobal.org. ალტერნატიულად, IACD-ის წევრები ნებისმიერ დროს აზიარებენ ჩვენს Facebook-ის საიტზე ახალ ამბებს, კვლევების შედეგებს, საქმის წარმოების ან სხვა მასალებს.

შემოგვიერთდით

სრული დეტალებისთვის ეწვიეთ შემდეგ ვებ-გვერდს www.iacdglobal.org/join-us.

წევრობა მოიცავს:

- ყოველდღიურ Facebook სიახლეებს საზოგადოების და მსოფლიო განვითარების შესახებ;
- ხელმისაწვდომობას ასოციაციის ვებ-გვერდზე განთავსებულ რესურსებზე;
- სასწავლო გაცვლით პროგრამებში მონაწილეობის მიღების შესაძლებლობას;
- ასოციაციის კონფერენციებზე დასწრებას დაკლებული ფასით;
- საზოგადოების განვითარების ჟურნალის გამოწერებს დაკლებული ფასით;
- შესაძლებლობები გაუზიაროთ თქვენი მუშაობის და გამოცდილების შესახებ საერთაშორისო აუდიტორიას, ჩვენს ვებგვერდის, Facebook-ის გვერდის და სხვა პუბლიკაციების მეშვეობით;
- წევრებს ასევე აქვთ შესაძლებლობა იყვნენ წარდგენილები დირექტორთა საბჭოში სამუშაოდ.

www.iacdglobal.org

International Association for Community Development, Baltic Chambers, Suite 305,
50 Wellington Street, Glasgow G2 6HJ, Scotland, UK

+44 141 248 1924

Website: www.iacdglobal.org/

Facebook: www.facebook.com/IACDglobal
http://cldstandardscouncil.org.uk

თარგმანი ქართულ ენაზე შეასრულა: ირმა ფხაკაძემ, ირინა ენუქიძემ / AAIP "Inclusive Practices"

Website: www.inclusivepractices.net

Facebook: www.facebook.com/inclusivepractices

WORLD COMMUNITY DEVELOPMENT CONFERENCE 2019

PEOPLE, PLACE AND POWER

24-26 June 2019
Dundee, Scotland

SAVE the DATE

The **2019 World Community Development Conference** is to be held in the **City of Dundee, Scotland** in an exciting collaboration between the International Association for Community Development, Dundee City Council and the University of Dundee. We are delighted to host this conference to bring practitioners, academics and students together from all parts of the globe.

For over a decade Dundee City Council provided administrative and professional assistance to IACD and the city has a long and proud tradition of supporting community development.

Registration will open on Sunday, 23 June 2019 with an International Reception. The conference will take place **24 to 26 June 2019** with an optional practice exchange on 27 and 28 June 2019.

The conference venue is the **Dalhousie Building** at the heart of the **University of Dundee's campus.**

The themes **"People", "Place" and "Power"** have been chosen to reflect the contemporary challenges facing society and to provide the context within which community development practitioners, activists and academics can explore their responses to these issues.

The themes have particular relevance in the City of Dundee where polymath Patrick Geddes founded the modern town planning movement and the global sustainable development movement. Patrick Geddes was intrinsically involved in thinking about the relationship between people, place and power.

Today's world may be very different, but the challenges of creating sustainable communities and delivering a quality of life which is based on social and environmental justice are even more relevant now than they were 150 years ago.

www.iacdglobal.org
info@iacdglobal.org
#WCDC2019
@WCDC2019

IACD — International Association for Community Development / Association Internationale de Développement et d'Actions Communautaires — WITHOUT COMMUNITY DEVELOPMENT THERE IS NO SUSTAINABLE DEVELOPMENT

The Scottish Government — Riaghaltas na h-Alba

University of Dundee

Dundee City Council — www.dundeecity.gov.uk — CHANGING FOR THE FUTURE

leisure & culture DUNDEE

Dundee & Angus CONVENTION BUREAU — WORKING WITH YOU FOR YOU